# ხელშეკრულება №2
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

მესტია 20.01,2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი" (შემდგომში – „დამკვეთი"), დირექტორი ირმა ჯაფარიძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ნანა ცხომარია" მისი დამფუძნებლის ნანა ცხომარიას სახით (შემდგომში – „შემსრულებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. *ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1 ხელშეკრულების საგანია ი/მ „ნანა ცხომარია" –მ გაუწიოს მომსახურება სასწავლებლის სამზარეულოს სასწავლო ჯგუფებისათვის სხვადასხვა კვების პროდუქტების შეძენა. (SPV კოდი 15800000.).

## 2. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 2600(ორიათას ექვსასი) ლარი.
.

## 3. *შესყიდვის ობიექტის ხარისხი, ტექნიკური და საგარანტიო პირობები. ამ პირობებთან დაკავშირებული ვალდებულებები*

3.1 „შემსრულებელი" იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი,

## 4. *შესყიდვის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

4.1 სამუშაოს შესრულების ადგილია მესტია, ფარჯიანის ქ #25

## 5. *ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

6.1 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 „დამკვეთი" ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება „შემსრულებელთან" მას შემდეგ რაც „შემსრულებელი" სრულად და ზედმიწევნით შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.
6.3 ანაზღაურების ადგილია ს.ს „თიბისი ბანკი", მიმღები ბანკის SWIFT კოდი: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი № GE26TB7661536010100009

## 7. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1 „დამკვეთს" უფლება აქვს:
-მოსთხოვოს „შემსრულებელს" ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
7.2 „დამკვეთი" ვალდებულია:
-წერილობითი ფორმით, გონივრულ ვადებში აცნობოს „შემსრულებელს" სამუშაოს შესრულების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
7.3 „შემსრულებელს" უფლება აქვს:
-მოსთხოვოს „დამკვეთს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
-მოითხოვოს „დამკვეთისაგან" ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
7.4 „შემსრულებელი" ვალდებულია:
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. *მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა წერილობითი გაფრთხილების შემდეგ.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსრულებლის“ მხრიდან ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

8.6 „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება „შემსრულებელზე“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

8.7 საჯარიმო სანქციები არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით.

### *10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „დამკვეთი“ ორგანიზაციისათვის.

### *11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *12. ფორს-მაჟორი*

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ, წერილობით უნდა აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *13. სხვა პირობები*

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი „დამკვეთთან“ და ერთი პირი „შემსრულებელთან“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| „დამკვეთი“: | „შემსრულებელი“: |
|---|---|
| სსიპ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი” | ი/მ „ნანა ცხომარია“ |
| მის. მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25 | მესტია |
| ს/კ 235891512 | ს/კ:30001009634 |
| სახელმწიფო ხაზინა | SWIFT კოდი:TBCBGE22 |
| | ანგ № GE26TB7661536010100009 |
| ი. ჯაფარიძე | დამფუძნებელი: ნ. ცხომარია /ნ.ცხომარია/ |